



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი

25.05.2023



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ნათია

გვარი: ბადრიშვილი



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია Applied Social Psychology
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-7 საფეხური
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი Master of Psychology
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0313
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი ⁵	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა თბილისი, 0179 საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი- აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული. N1428366; 28.12. 2021

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 14 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი, 2022 წლის 14 დეკემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 14 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. რეკომენდირებულია, ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა და პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებთან მიმართებით; (1.1)
2. რეკომენდირებულია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით; (1.4)
3. რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში ძირითადი სასწავლო მასალა; (1.5)
4. რეკომენდირებულია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას; (1.5)
5. სამაგისტრო პროგრამის წინაპირობაში დაზუსტდეს ინგლისური ენის მოთხოვნის დონე სწავლების საფეხურთან მიმართებით; (2.1)
6. რეკომენდირებულია, მემორანდუმები / ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას; (2.2)
7. რეკომენდირებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები; (2.4)
8. რეკომენდირებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს №3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით; (2.4)
9. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება, პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად. (5.1)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 14 დეკემბერს. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარდგენისთვის განსაზღვრულ იქნა 1 წლიანი ვადა 2022 წლის 14 დეკემბრამდე. დაწესებულებამ 22.03.2023-ში წარადგინა ანგარიში, სადაც აღწერილია 9 რეკომენდაციაზე ჩატარებული საქმიანობა. დასკვნის სრულყოფილად შესრულებისთვის საჭირო გახდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა.

დაწესებულებამ ერთი წლის განმავლობაში სრულად შეასრულა ხუთი რეკომენდაცია: (რეკომენდაციები #1, #3, #4, #5 და # 9), ნაწილობრივ შესრულდა 1 რეკომენდაცია (რეკომენდაცია #7) და არ შესრულდა 3 რეკომენდაცია (რეკომენდაციები # 2, # 6 და #8).

⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

⁷საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



რჩევები⁸

1. სასურველია, სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული: Master of Psychology
2. სასურველია, დაზუსტდეს არჩევით სასწავლო კურსში „ზოგადი მენეჯმენტი“ კურსის დასახელება შინაარსთან მიმართებით;
3. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, კვლევები ჩატარდეს კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია რჩევების გათვალისწინება-არგათვალისწინების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I	რეკომენდირებულია, ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა და პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებთან მიმართებით;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულება მიიჩნევს, რომ ერთი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეუძლებელია ფართომასშტაბიანი

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით



	კვლევის ჩატარება; თუმცა, ხშირად ტარდება გამოკითხვა დამსაქმებლებთან და მსგავსი კვლევა წარმოდგენილი ჰქონდათ აკრედიტაციის პერიოდშიც და ასევე, დაწესებულებამ დამატებითი დოკუმენტების სახით წარმოადგინა 2021 წლის დეკემბერში ჩატარებული დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 5: ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 30 დეკემბერის სხდომის ოქმი N16; ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის წლის 29 დეკემბერის სხდომის ოქმი N3; • დამატებითი დოკუმენტები: დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი- 2021 წლის დეკემბერი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით;
შეფასება	რეკომენდაცია არ არის შესრულებული. წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა თავდაპირველად წარმოდგენილი რუკის იდენტურია. დაწესებულებას არ აქვს განმარტება მოცემული, თუ რამდენად მართებული იყო, რომ ყველა სასწავლო კურსი შედეგებზე გადიოდა ერთი და იმავე დონით. მაგალითად, სასწავლო კურსი-გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია და სოციალურ ინტერვენციები (2) და სამაგისტრო ნაშრომი (3)
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 1: საგანმანათლებლო პროგრამა; • დანართი 3: კურიკულუმის რუკა; • დანართი 5: ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 30 დეკემბერის სხდომის ოქმი N16; ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის წლის 29 დეკემბერის სხდომის ოქმი N3.



სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III	რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში ძირითადი სასწავლო მასალა;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებამ რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში (როგორებიცაა „ცრურწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია“ და „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია და სოციალური ინტერვენციები“) შეიტანა ცვლილება. კერძოდ, განაახლა სავალდებულო ლიტერატურა.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 2: სასწავლო კურსების სილაბუსები; • დანართი 5: ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 30 დეკემბერის სხდომის ოქმი N16; ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის წლის 29 დეკემბერის სხდომის ოქმი N3.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV	რეკომენდირებულია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. პრაქტიკის კურსის სილაბუსში პრაქტიკის გეგმაში შევიდა ცვლილებები. გარკვეულწილად დაზუსტდა აქტივობების მიზანი, შინაარსი და საშინაო დავალებები.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 2: სასწავლო კურსების სილაბუსები; • დანართი 5: ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 30 დეკემბერის სხდომის ოქმი N16; ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის წლის 29 დეკემბერის სხდომის ოქმი N3.



სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია V	სამაგისტრო პროგრამის წინაპირობაში დაზუსტდეს ინგლისური ენის მოთხოვნის დონე სწავლების საფეხურთან მიმართებით;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაწესებულა გეგმავს „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაში დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულ იქნას ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 1: საგანმანათლებლო პროგრამა; • დანართი 5: ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 30 დეკემბერის სხდომის ოქმი N16; ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის წლის 29 დეკემბერის სხდომის ოქმი N3.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VI	რეკომენდირებულია, მემორანდუმები / ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას;
შეფასება	რეკომენდაცია არ არის შესრულებული. დაწესებულა მიიჩნევს, რომ მემორანდუმები წინასწარ არის დადებული 15 სტუდენტზე და დამატებით, სტუდენტების რაოდენობის მითითებას არ საჭიროებს.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 6: მემორანდუმები

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4.სტუდენტთა შეფასება
რეკომენდაცია VII	რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს



	აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
შეფასება	<p>რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.</p> <p>წარმოდგენილ სილაბუსებში: “ცრურწმენები და დისკრიმინაცია“ და „გამოყენებით სოციალური ფსიქოლოგია და სოციალური ინტერვენციები“, „კვლევითი სტატიების ანალიზი და პრეზენტაცია“, შეტანილია ცვლილება. შესაბამისად, დასწრება/აქტივობის ნაცვლად მითითებულია აქტივობა.</p> <p>სილაბუსებში, „პრაქტიკა გამოყენებით ფსიქოლოგიაში“, დატოვებულია დასწრების შეფასება, სადაც ობიექტზე დასწრებას ენიჭება 30 ქულა. დაწესებულება აღნიშნავს, რომ პრაქტიკის სილაბუსში დასწრება არ იქნა შეცვლილი აქტივობით, რადგან, პრაქტიკის ობიექტზე ყოფნას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.</p> <p>სასწავლო კურსი სილაბუსებში: „თანამედროვე სოციალური პრობლემების სოც.ფსიქოლოგიური ასპექტები“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ დატოვებულია დასწრება/აქტივობის ქულა. რომლებშიც ცალკე ფასდება სასწავლო კურსზე დასწრება და ცალკე- აქტივობა.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 2: სასწავლო კურსების სილაბუსები; • დამატებითი დოკუმენტები: სასწავლო კურსის სილაბუსები; • დანართი 5: ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 30 დეკემბერის სხდომის ოქმი N16; ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის წლის 29 დეკემბერის სხდომის ოქმი N3.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4.სტუდენტთა შეფასება
რეკომენდაცია VIII	რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს №3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით;



შეფასება	<p>რეკომენდაცია არ არის შესრულებული. დაწესებულება მიიჩნევს, რომ ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვის და შეფასების პროცედურის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომი წინასწარ გადის საჯარო განხილვას და თუ ნაშრომი უარყოფითად შეფასდება, არ ხდება მისი წარდგენა დაცვაზე. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ არსებული პროცედურა არ არის წინააღმდეგობაში არსებულ რეგულაციებთან. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში არსებული შეფასების პროცედურიდან არ ჩანს, თუ სტუდენტი მიიღებს FX შეფასებას, ხდება თუ არა იმავე სემესტრში მისი განმეორებით დაცვაზე დაშვება.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 1: საგანმანათლებლო პროგრამა; • დანართი 4: სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულება.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია IX	რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება, პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში მითითებული აქვს, რომ 2023 წლის გაზაფხულზე იგეგმება სამაგისტრო პროგრამის შიდა შეფასება, თუმცა, დანართი 7 და 8-ში არ იყო ასახული ამის დამადასტურებელი ინფორმაცია. დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის შემდეგ, დაწესებულებამ წარადგინა კომიტეტის სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2023 წლის ივნის-ივლისამდე უნდა ჩატარდეს ფსიქოლოგიის დეპარტამენტის მიმდინარე სამაგისტრო პროგრამების შიდა შეფასება.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დანართი 7: თვითშეფასების ანგარიში; • დამატებითი დოკუმენტები: კომიტეტის სხდომის ოქმი ი N2 (23.03.2023)



თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი 1: საგანმანათლებლო პროგრამა (9 გვერდი);
 - დანართი 2: სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - დანართი 3: რუკები (3 გვერდი);
 - დანართი 4: სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა (7 გვერდი)
 - დანართი 5: ოქმები (6 გვერდი);
 - დანართი 6: მემორანდუმები (13 გვერდი);
 - დანართი 7: თვითშეფასების ანგარიში (51 გვერდი).
 - დანართი 8: ანგარიში (12 გვერდი);
 - დანართი 9: პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა (2 გვერდი).
- დამატებითი დოკუმენტები

ექსპერტის ხელმოწერა